ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 01 აპრილის სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: დავით დევდარიანი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს:ნინო მაღლაკელიძე

4.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილებისა და მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცების შესახებ

მომხს: თემურ თაბუკაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 აპრილის სხდომის

ოქმი N 7

დაბა ხარაგაული 2019 წლის 1 აპრილი

9 აპრილის . #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები : პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, ბესიკ ტალახაძე, ზურაბ ხაჩიძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, დავით მაღლაფერიძე, აკაკი მაჭავარიანი, ქეთევან ზუმბაძე, მიხეილ ჭიპაშვილი, თორნიკე ავალიშვილი სულ საკრებულოს 29 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ჯაბა ბერაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

გიორგი ხახალაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი სპეციალისტი,

თემურ თაბუკაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი,

გიორგი ჭყოიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი,

ნინო მაღლაკელიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი,

ლასა გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. ბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფ რ ო სი ,

თ. მაღრაძე – ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" ჟურნალისტი,

მ. შათირიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი,

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და კენჭის ყრაზე დადგა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 1

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: გიორგი ხახალაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილებისა და მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცების შესახებ

მომხს: თემურ თაბუკაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ფრაქციის „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარემ თ. ავალიშვილმა გააკეთა განცხადება, რომ მან დღეს სხდომის დაწყებამდე მიიღო მერის პასუხ იმ წერილზე, რომლითაც ითხოვდა ავტომანქანის შესაძენად გამოყოფილი თანხიდან ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსების გაზრდას, სადაც აღნიშნულია, რომ საკითხის განხილვა მოხდებოდა 6 თვის შემდეგ. ვინაიდან დღეს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია საბიუჯეტო ცვლილების განხილვა, მოვთხოვოთ მერს წარმოადგინოს დამატებით ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსების საკითხიც, წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოგცემთ საშუალებას ჩაატაროთ საკრებულოს სხდომა.

საკრებულოს უმრავლესობის წევრთა მხრიდან აღინიშნა, რომ ისინი მხარს უჭერენ ამ მოთხოვნას და შესაძლებლად მიაჩნიათ დღესვე მოხდეს შეთანხმება მერთან, მოითხოვეს მოვიდეს მერი ან მერიის წარმომადგენელი და მოგვცეს განმარტება, რატომ არ იქნა გათვალისწინებული საკრებულოს მოთხოვნა 43 000 ლარიდან ჯანდაცვის პროგრამისათვის თანხის დამატების თაობაზე.

სხდომის მიმდინარეობისას შექმილი ქაოსის გამო სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა 5 წუთიანი შესვენება.

სხდომის განახლების შემდეგ კენჭის ყრით მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ საბიუჯეტო ცვლილების განხილვა მოხდებოდა დღის წესრიგის მე-4 საკითხად.

მოისმინეს:. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსის სპეციალისტის გიორგი ხახალაშვილის ანგარიში - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ლ. აბაშიძემ - მან მომხსენებლისაგან მოითხოვა განმარტება თუ რატომ აღარ ხდება სამსახურის წარმომადგენელთა მისვლა სკოლებში წვევამდელთა აღრიცხვისათვის, ეს იყო კარგი პრაქტიკა.

გ. ხახალაშვილმა უპასუხა, რომ ეს პროცესი დროებით ტრანსპორტის გამო შეჩერებულია და ვფიქრობთ, რომ აღდგება,უახლოეს მომავალში

საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების ხელმძღვანელთა მიერ აღინიშნა, რომ მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური არის მერიის ერთ- ერთი მოწესრიგებული სტრუქტურული ერთეული და მათ საქმიანობას ვაფასებთ დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი სამსახურის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს:. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის ანგარიში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

მ. ფხალაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განვიხილეთ ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის სხდომაზე (განხილვის შედეგებზე კომისიის სხდომის ოქმი თან ერთვის) მან ასევე აღნიშნა, რომ არავინ არ ამბობს, რომ სამსახური არ მუშაობს ან მუშაობს იმაზე ცუდად ვიდრე თქვენამდე მუშაობდა ეს სამსახური, მაგრამ მიმაჩნია, რომ თქვენ უნდა განთავისუფლდეთ მიწის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან და უფრო მეტი დრო გექნებათ საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად, თუმცა ეს ჩემი აზრია და გადასაწყვეტია მერის.

ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განვიხილეთ საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე (განხილვის შედეგებზე კომისიის სხდომის ოქმი თან ერთვის) მან ასევე აღნიშნა რომ

ის ხარვეზები, რაც იყო წინა ანგარიშის მოსმენის დროს ისევ შეუსრულებელია კერძოდ არ დასრულებულა ქონების ინვენტარიზაცია, არ გვაქვს ეკონომიკური განვითარების გეგმა, პრობლემებია მუნიციპალური ქონების მოვლა - პატრონობის საქმეში, მე პირადად სამსახურის საქმიანობას ვაფასებ უარყოფითად.

ჯ. ბერაძემ ვ. ჭიპაშვილის მიერ დასმულ საკითხებზე: ინვენტარიზაციის დაუსრულებლობის, მუნიციპალური ქონების მოვლა პატრონობისა და ეკონომიკური გეგმის თაობაზე გასცა პასუხი და აღნიშნა, რომ ინვენტარიზაციის პროცესი დაწყებულია, ეს იმდენად რთული და შრომატევადი პროცესია, რომ 6 თვეში სრულად დამთავრება ვერ მოხდებოდა, ვმუშაობთ ეკონომიკური განვითარების გეგმაზე, ვმუშაობთ ბიზნეს სექტორთან, ფერმერებთან, გვაქვს მათთან შეხვედრები. სავარაუდოდ მუშაობა დასრულდება მაისის თვეში და ჩვენს მიერ შექმნილ პროექტს წარმოუდგენთ საკრებულოს დასამტკიცებლად, რაც შეეხება ღია ესტრადის გადაცემის საკითხს მე როდესაც დავინიშნე ამ თანამდებობაზე კომისიით ჩავედი აღნიშნულ ობიექტზე აღვწერე იქ არსებული მდგომარეობა და წარვუდგინეთ მერს, იმისათვის, რომ ქონება გადაცემოდა ვინმეს იყო საუბარი ა,ა,ი,პ -ზე საჭირო იყო თანხა, რომლითაც შენობა მოვიდოდა წესრიგში, მაგრამ მერმა განაცხადა, რომ დამატებით არ აპირებდა იმ ობიექტზე თანხის დახარჯვას , სადაც ნახევარი მილიონი იყო დახარჯული.

მ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ მე რასაც გავეცანი ჯ. ბერაძის ანგარიშიდან მას უწევს მუშაობა 2013 – 2016 წლებში დაშვებული ხარვეზების გამოსწორებაზე, ესტრადის საქმე კარგად ვიცი, რატომ ხდებოდა მაშინდელი გამგებლის მიერ დავალება და რატომ ვწევდით ხარჯებს და რატომ ვმალავდით. ახლა ჯაბამ და ნიკომ უნდა აგოს პასუხი წინა ხელმძღვანელის დანაშაულზე.რაც შეეხება შეფასებას აღნიშნა მან ვხედავთ საქმე დაწყებულია, ახალგაზრდა კაცია, მივცეთ სტიმული, შევაფასოთ დადებითად და მე ვიქნები პირველი ვინც მხარს დაუჭერს უარყოფითად შეფასების საკითხს თუ დაწყებული საქმე არ იქნება ბოლომდე მიყვანილი.

თ. ფცქიალაძემ აღნიშნა, რომ ჩემი ინიციატივით ყოფილი ვეტ-აფთიაქის შენობის პრივატიზაცია გადაიდო და ახლა ვაყენებ საკითხს, რომ აღნიშნული შენობა გარემონტდეს და გადაეცეს უსახლკარო ოჯახებს.

თ. ავალიშვილმა აღნიშნა, რომ 2011 წლის შემდეგ არ მომხდარა ინვენტარიზაცია, როდის ვაპირებთ დასრულებას,ასევე მაინტერესებს ბორითისა და ღორეშის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვარზე ორგანიზაცია"ზოდს" მიწა თუ მიეყიდა და თუ გაიცა ლიცენზია აგრეთვე, რატომ არ ეძლევა მითითება კომპანია „ბლექსი ჯგუფს", რომლის ტრანსპორტი დაბაში მოძრაობის დროს ქუჩა ივსება მტვრით და ხალხი თავს მაღაზიებს აფარებს, მას უნდა მოვთხოვოთ, რომ მორწყონ ქუჩები თუ თქვენ ვერ ახერხებთ, ჩაგვრთეთ ჩვენც და ერთად დაველაპარაკოთ.

ქ. ზუმბაძემ მომხსენებლის მიმართ დასვა რამდენიმე შეკითხვა, კერძოდ:

- რომელი წლიდან არ გაკეთებულა ინვენტარიზაცია,
- როდის დასრულდა ესტრადის მშენებლობა და ვის ჩაბარდა მოვლა -პატრონობით,
- როდის გვექნება მუნიციპალური განვითარების გეგმა.

აღნიშნულ კითხვებთან დაკავშირებით მომხსენებლის მიერ გაკეთდა განმარტებები.

პ.გოგოლაძემ უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ხარაგაულის საკრებულო გამორჩეულია ქვეყნის მასშტაბით, ჩვენ უნდა ვიყოთ კრიტიკულები და თვითკრიტიკულებიც კიმერიის სამსახურების საქმიანობის მიმართ ეს განსაზღვრულია თვითმმართველობის კოდექსით , ჩვენ წინა ხელისუფლებაში ვიყავით და ხარვეზები მაშინაც იყო მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუ რა იყო 10 ან სამი წლის უკან ან ჩემი გამგებლის მოადგილედ მუშაობის დროს არ იყო გაკეთებული ახლა არ უნდა გაკეთდეს, ამაზე საუბარს ვერავინ ვერ ამიკრძალავს, ჯაბა ბერაძეზე არ არის საუბარი აქ სამსახურის საქმიანობაზეა საუბარი, ესტრადა 2015 წელს დასრულდა. ეს შენობა ჩაიბარა კომისიამ თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ამ შენობის ვიზუალი დიდი ეფექტურობით არ გმოირჩეოდა კომისიამ ჩათვალა, რომ პროექტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს იგი აკმაყოფილებდა, რის შესახებაც არსებობს ექსპერტიზის დასკვნა. ამის შემდგომ დაისვა საკითხი გადაცემაზე, მაგრამ იყო აზრთა სხვადასხვაობა. ამავე დროს ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები მიუთითებდნენ შენობის ხარვეზებში დასაჯდომი სკამზე წებოვანი ნივთიერების არსებობაზე, ვინაიდან წიწვოვანი მასალით იყო გაკეთებული., ასევე ახლად გადახურული სახურავიდან რამდენიმე ადგილას წყლის გაჟონვასთან დაკავშირებით. აღნიშნული პრობლემებთან დაკავშირებით მაშინდელმა გამგებელმა კ. ლურსმანაშვილმა მიმართა ორჯერ შემსრულებელს მარტსა და მაისში ჩამოვიდნენ იმუშავეს ხარვეზების გამოსასწორებლად,

ივლისის თვეში იქ ჩატარდა ქორეოგრაფიული ფესტივალი, აგვისტოში -სექტემბერში მოეწყო წინასაარჩევნო შეხვედრები ამომრჩევლებთან, ამავე დროს , აგვისტოსა და სექტემბერში ჩემს მიერ პირადად მოხდა მიწერა დარჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ნოემბერ - დეკემბერში აღნიშნულ ობიექტზე დაიწყო ხელოვნური დაზიანებების მიყენება (გატყდა კრებები და შიდა კომუნიკაციები და ინფრასტრუქტურა განადგურდა) რის შესახებ ფოტომასალა არსებოს. ეს ყველაფერი იმის გამო აღვნიშნე, რომ აღნიშნულ ობიექტის მოვლა - პატრონობაზე პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური. საკითხის განხილვისას ფრაქციებისა და კომისიების პრეტენზიებიდან გამომდინარე და უმრავლესობის წევრთა გადაწყვეტილებით სამსახურის საქმიანობას ვაფასებ უარყოფითად,

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი საკრებულოს წევრთა ერთი ნაწილის მიერ სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 6

წინააღმდეგი 19

თავი შეიკავა 4

სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების საკითხზე გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული ამის შემდეგ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი სამსახურის საქმიანობის უარყოფითად შეფასების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს წევრი

მომხრე 19

წინააღმდეგი 6

თავი შეიკავა 4

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-3 საკითხის განხილვის დაწყებამდე საკრებულოს სხდომაზე გამოცხადდა მერის მოადგილე თემურ ჩხეიძე, რომელმაც გააკეთა განმარტება , რომ ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსების გაზრდის საკითხი განიხილება 6 თვის შემდეგ.

საკრებულოს წევრებისათვის აღნიშნული განმარტება აღმოჩნდა მიუღებელი და კატეგორიულად მოითხოვეს ცვლილების შეტანა წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილების პროექტში დღესვე.

სხდომაზე გამოცხადდა განმეორებით 30 წუთიანი შესვენება მერთან მოლაპარაკების მიზნით.

შესვენების დასრულების შემდეგ საკრებულოს სხდომაზე გამოცხადდა მერის მოადგილე თემურ ჩხეიძე, რომელმაც გააკეთა განმარტება , რომ მუნიციპალიტეტის მერმა მიიღო გადაწყვეტილება ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსების 26 000 ლარით გაზრდის თაობაზე. ამის შემდეგ განახლდა საკითხების განხილვის პროცესი.

მოისმინეს:.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის თემურ თაბუკაშვილის ინფორმაცია საკითხზე - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის

გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილებისა და მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცების შესახებ (თან ერთვის)
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე

დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს:.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსის ნინო მაღლაკელიძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)
აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე

(ოქმი თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების

შეცვლილი პროექტი და კენჭისყრაზე დააყენა საბიუჯეტო ცვლილების ცალკეული მუხლები

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა გაიზარდოს 119 061 ლარით,
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი

- 2019 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი სახსრების ნაშთიდან 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯებში მიმართული იქნას 27 700 ლარი, აქედან:

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

კემჭის ყრაზე დადგა საკითხი
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოეყოს 4000 ლარი შენობის რემონტისათვის.
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი
- ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას 2800 ლარი საკანალიზაციო სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის - მაღალი წნევის ტუმბოსა და მილების შესაძენად.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი
- ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრს 5300 ლარი წაგებული სასამართლო დავის აღსრულების ეროვნულ ბიუროში გადასახდელად.
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი1

კენჭის ყრაზე დადგა საკიტხი
- ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრს 8000 ლარი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, კერძოდ უსინათლოთათვის, ბრაილის შრიფტით წერა-კითხვის სწავლებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი
- ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს გამოეყოს 7600 ლარი, მ.შ. 4000 ლარი 2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მიხედვით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისათვის C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია-შიდსზე და ტუბერკულოზზე ინტეგრირებული სკრინინგის უზრუნველსაყოფად და 3600 ლარი სველი წერტილების მოსაწესრიგებლად
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი

- გაიზარდოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 13 304 500 ლარი ცენტრალური სსიპებიდან გამოყოფილი გრანტების ხარჯზე 119 061 ლარით და განისაზღვროს 13 423 561 ლარით.
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი

- გაიზარდოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 17 687 000 ლარი 146 761 ლარით და განისაზღვროს 17 833 761 ლარით. გადასახდელების ზრდის წყაროა ცენტრალური სსიპებიდან გამოყოფილი გრანტები 119 061 ლარი და საკუთარი სახსრების ნაშთი 27 700 ლარი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დამთავრებულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე